

დამზღვევი: შპს «ბათუმის ნავთობტერმინალი»

Компания: ООО «Батумский нефтяной терминал»

დაზღვეული პირები: თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები

Застрахованные лица: Сотрудники и члены их семей

დაზღვევის მოქმედების ვადა: -2025-24:00 საათი - 2026-24:00 საათი

Срок действия страхования: 2025-24:00 ч. - 2026-24:00 ч.

ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის ხელშეკრულების მოწმობა/პოლისი
Health, Life and Personal Accident Corporate Insurance Certificate/Policy

№

Удостоверение/полис по договору о страховании здоровья/жизни и от несчастных случаев

№

1	დამზღვევი Страхователь	შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი” საინდენტიფიკაციო კოდი: - 245432544, მის:საქართველო, ქალაქი ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ.,N4 გ. ООО «Батумский нефтяной терминал», идентификационный код:245432544 адрес: Грузия, город Батуми, ул. ул. Северян Ачарели, N4
2	დაზღვეული Застрахованное лицо	შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი” -ს თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, ხელშეკრულების დანართით #2 განსაზღვრული პირები, სულ __ დაზღვეული (დაზღვეულთა რაოდენობის კორექტირება ხდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით) Сотрудники ООО «Батумский нефтяной терминал», и члены их семей, лица, указанные в приложении № 2, всего __ человек (количество застрахованных лиц корректируется в соответствии с правилами, установленными в договоре).
3	მზღვეველი Страховщик	სს «-----» (საინდენტიფიკაციო ნომერი: -----) АО «-----» (идентификационный номер: -----);
4	სადაზღვევო რისკი Страховой риск	დაზღვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან გარდაცვალება, რაც სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობს მზღვეველის მხრიდან დაზღვეული პირის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებას. Ухудшение состояния здоровья Застрахованного лица, ограничения в трудоспособности или смерть Застрахованного лица, которое вызывает ответственность выдачи страховой премии от имени Страховщика для Застрахованного лица на основании Договора.
5	სადაზღვევო პრემია; მისი გადახდის წესი Страховая премия и условия оплаты	ჯამური სადაზღვევო პრემია შეადგენს ----- ლარი დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება დანართების N 2 (სიები) და N 4 (გრაფიკი) შესაბამისად; სადაზღვევო პრემიის ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ხელშეკრულებისა და დანართების №2 და №4 პირობების შესაბამისად. Общая сумма страховой премии составляет ----- Лари; Размер страховой премии, подлежащей уплате Страхователем / Компанией определяется в соответствии с Приложениями к Договору №2 (списки) и №4 (график); Оплата страховой премии производится ежемесячно, путем перевода в соответствии с условиями Договора и Приложениями к Договору №2 и №4.
6	სადაზღვევო თანხა Общая сумма страховки	ცალკეული სამედიცინო მომსახურების ლიმიტები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართის N1 შესაბამისად. Лимиты отдельного медицинского обслуживания определяются согласно Приложению №1 к Договору.

<u>7</u>	დაზღვევის ტერიტორია Территория покрытия	საქართველო Грузия
<u>8</u>	დაზღვევის პერიოდი Период страхования	----2025 (24:00 საათი) – -----2026 (24:00 საათი); -----2025 (24:00 часов) – -----2026 (24:00 часов) კონკრეტული დაზღვეული პირის სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება დაზღვეულის ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათით. კონკრეტული დაზღვეული პირის სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება ხელშეკრულების №2 და №3 დანართების შესაბამისად. Страховой период конкретного Застрахованного лица определяется индивидуальной страховой картой; Указанный период страхования определяется в соответствии с Приложениями №2 и №3 к Договору.
<u>9</u>	პოლისის გაცემის ადგილი და თარიღი Место и дата выдачи полиса	ქ. თბილისი, / ქ. ბათუმი ---.2025 წ г. Тбилиси, г. Батуми -----.2025
<u>10</u>	პოლისის გაცემის საფუძველი Основание выдачи полиса	დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება N ----- დამზღვევის მიერ შევსებული დაზღვევის განაცხადი - ანკეტა (საიდენტიფიკაციო ფორმა) და დაზღვეულთა სია Договор № ----- Заявка - анкета (идентификационная форма) заполненная Страхователем и перечень Застрахованных лиц

მზღვეველი / Страховщик :	
გენერალური დირექტორი Генеральный директор	

ხელმოწერა / Подпись	ბ.ა. / М.П.
დამზღვევი / Страхователь :	
გენერალური დირექტორი Генеральный директор	

ხელმოწერა / Подпись	ბ.ა. / М.П.

ხელშეკრულება #
ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური
შემთხვევისგან დაზღვევის შესახებ

Договор #
Договор страхования здоровья, жизни и от
несчастных случаев

ქ. _____ ერთი მხრივ, სს _____» (საიდენტიფიკაციო ნომერი: _____) (შემდგომში „მზღვეველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ----- სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე და მეორე მხრივ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 245432544) (შემდგომში «დამზღვევი») წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ფარხატ ტაშიბაევის სახით, მოქმედი კომპანიის წესდების შესაბამისად, შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“, ხოლო ცალკე-ცალკე „მხარედ“ წოდებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:	г. _____ С одной стороны, АО «_____» (идентификационный номер: _____) именуемый в дальнейшем «Страховщик», в лице Генерального директора -----, действующего на основании устава и с другой стороны, ООО «Батумский нефтяной терминал» (идентификационный номер: 245432544), именуемый в дальнейшем «Страхователь», в лице генерального директора Фархата Ташибаева, действующего на основании Устава компании, далее совместно именуемые Стороны, а по отдельности Сторона, в соответствии с законодательством Грузии, заключили настоящий договор о нижеследующем:
---	--

პრეამბულა	П р е а м б у л а
«დამზღვევი» ადასტურებს, რომ იღებს ვალდებულებას სრულად და სწორად მიაწოდოს «მზღვეველს» (ელ. ფორმით) ინფორმაცია (დასაზღვევი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ (წინამდებარე ხელშეკრულების დანართის #2 ფორმით), რომელიც მოიცავს შემდეგი ინფორმაციას: ძალაში მყოფი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების შესაბამისად, დაზღვეული პირის სახელი, გვარი, პირდი ნომერი, დაბადების თარიღი. ასევე ოჯახის წევრის შემთხვევაში ნათესაური კავშირის შესახებ ინფორმაცია. (წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის მეუღლედ ითვლება პირ(ები)ი, ქორწინების მოწმობის, ან ჯვრისწერის მოწმობის საფუძველზე, ან რომლებსაც ჰყავთ საერთო შვილი). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ დამზღვევი არ არის ვალდებული, მიაწოდოს მზღვეველს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კონკრეტულ დაზღვეულთან მიმართებაში ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის მეშვეობით დაზღვეულისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტი - თანამშრომლისთვის - შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტი, - ოჯახის წევრისათვის - ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას კონკრეტული დაზღვეული პირის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.	Страхователь подтверждает, что обязуется в полном объеме и точно предоставить Страховщику (в эл. форме) запрошенную им информацию о страхуемых сотрудниках и членах их семей (по форме согласно приложению №2 к настоящему договору), которая включает следующие данные: в соответствии с данными действующего удостоверения личности, ФИО Застрахованного лица, личный номер, дату рождения, также, в случае родства - информацию по родственной связи (для целей настоящего страхования супругой считается лицо(а) на основании наличия свидетельства о браке и венчании, или с которой(ым) есть общий ребенок). С целью избежания всякого рода недоразумений, Стороны договариваются, что Страхователь не обязан предоставить Страховщику документы, подтверждающие родство. В случае возникновения подозрений относительно родства, Страховщик вправе через Страхователя запросить у Застрахованного лица документ, подтверждающий родство: у сотрудника – документ, подтверждающие трудовые отношения, для членов семей – документ, подтверждающий родственную связь, в случае непредоставления которых, Страховщик имеет право отказаться от выполнения обязательств, возложенных в отношении конкретного Застрахованного лица.
დამზღვევი ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე მიაწოდა ინფორმაცია თანამშრომლებს მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთავაზებული ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით.	Страхователь подтверждает, что до подписания настоящего договора он предоставил сотрудникам информацию по условиям страхования здоровья, жизни и несчастных случаев, рассматриваемых в рамках настоящего договора.

1. ტერმინთა განსაზღვრება:	1. Определения терминов:
ქვემოთ მოცემული ყოველი განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.	Все определения, приведенные ниже, действительны для любой части настоящего договора.
1.1. მზღვეველი სს «_____» (საიდენტიფიკაციო ნომერი: _____)	1.1. Страховщик АО «_____» (идентификационный номер: _____);
1.2. დამზღვევე შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“, პირი, რომელიც დებს ამ ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის პრემიას, და რომელიც ამავდროულად, წარმოადგენს დაზღვეულ თანამშრომლებთან შრომით ურთიერთობაში, დამსაქმებლის სახით მყოფ პირს.	1.2. Страхователь ООО «Батумский нефтяной терминал, лицо, заключающее настоящий договор со Страховщиком и которое платит соответствующую премию, в то же время находящийся в трудовых отношениях с Застрахованными лицами.
1.3. მოსარგებლე დაზღვეული პირი ან ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.	1.3. Пользователь Застрахованное лицо или любое другое физическое лицо, уполномоченное на получение страхового возмещения в соответствии с грузинским законодательством и настоящим договором.
1.4. დაზღვეული (ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათის მფლობელი) წინამდებარე ხელშეკრულების დანართში №2 და სადაზღვევო მოწმობა/პოლისში მითითებული ფიზიკური პირ(ებ)ი და რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.	1.4. Застрахованный (владелец индивидуальной страховой карты) Физическое лицо(а), указанные в Приложении №2 к настоящему договору и страховом удостоверении/полисе и которые имеют право на получение страхового возмещения в соответствии с настоящим договором.
1.5. ოჯახის წევრი თუ დაზღვევის კონკრეტული პირობებით (დანართი №1) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ოჯახის წევრად განიხილება მხოლოდ დამზღვევის თანამშრომლის მეუღლე და შვილები (27 წლის ასაკამდე), რომელთაგან ნათესაური კავშირი დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტით (ქორწინების/ჯვრისწერის მოწმობა, დაბადების მოწმობა და სხვა); ამასთან მეუღლეები, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, არის პირები, რომლებიც, არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში ან ჯვრისწერით ქორწინებაში, ან ჰყავთ საერთო შვილი.	1.5. Член семьи Если иное не определено конкретными условиями настоящего договора (Приложение №1), членами семьи считаются только супруги и дети (до 27 лет) сотрудников Страхователя, родство которых подтверждается соответствующими утвержденными законодательством Грузии документами. (свидетельство о браке/венчании, свидетельство о рождении и т.д.); наряду с этим, супруги, в целях настоящего договора, являются лицами, которые зарегистрированы в браке или венчаны, или же у которых есть общий ребенок.
1.6. სამედიცინო დაწესებულება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს/გააჩნია სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. აგრეთვე, საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის მიზნებისათვის - საზღვარგარეთ მოქმედი სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.	1.6. Медицинское учреждение Действующее на территории Грузии учреждение, которому в соответствии с законодательством Грузии предоставлено право на осуществление медицинской деятельности, а для целей покрытия лечения за границей - действующее за границей медицинское учреждение, которому в соответствии с действующим законодательством соответствующей страны предоставлено право на осуществление медицинской деятельности.
1.7 პირადი (ოჯახის) ექიმი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ მითითებული	1.7. Личный (семейный) врач Предусматривает услуги личного врача, указанного

პირადი ექიმის მომსახურებას - კონსულტაცია, ჯანმრთელობის მუდმივი მეთვალყურეობა, საჭიროების შემთხვევაში მიმართებითა და დანიშნულებით უზრუნველყოფა, ბიულეტენის გახსნა/დახურვა, სამედიცინო ცნობების გაცემა - ღირებულების ანაზღაურებას ბარათის შესაბამისად.	Страховщиком, постоянное наблюдение здоровья, в случае необходимости выдача направлений и назначений, открытие/закрытие бюллетеня, выдача медицинских справок, в случае медицинских показаний – визит на дому - оплата стоимости в соответствии с картой;
1.8 სადაზღვევო შემთხვევა სადაზღვევო დაფარვით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის ხდომილება (სამედიცინო მომსახურების მიღების საჭიროება და/ან ასეთის მიღება დაზღვეულის მიერ), რომელიც წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.	1.8. Страховой случай Проявление страхового риска, предусмотренного страховым покрытием (необходимость получения медицинских услуг и/или получение таковых Застрахованным лицом), при котором у Страховщика возникает обязательство по выплате страхового возмещения в соответствии с условиями настоящего договора.
1.9 დაზღვევის პერიოდი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევა რჩება ძალაში.	1.9. Период страхования Период, в течение которого страхование, определенное настоящим договором, остается в силе.
1.10 ანაზღაურების ლიმიტი დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ კონკრეტული სადაზღვევო დაფარვისთვის გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს.	1.10. Лимит возмещения Сумма, установленная настоящим договором, которая определяет максимум суммарного страхового возмещения, выплачиваемого Страховщиком по конкретному страховому покрытию в течение индивидуального страхового периода.
1.11 აგრეგირებული ლიმიტი ბარათში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ დაზღვეულის სასარგებლოდ გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ბარათში მითითებული ყველა ან რომელიმე სადაზღვევო დაფარვისთვის.	1.11 Агрегированный лимит Указанная в карте сумма, которая определяет максимум суммарного страхового возмещения, выдаваемого Страховщиком Застрахованному лицу в течение индивидуального страхового периода по всем или отдельным страховым покрытиям, указанным в карте.
1.12 ქვე ლიმიტი: ძირითადი დაფარვის ლიმიტიდან კონკრეტული სამედიცინო მომსახურებისთვის/სამკურნალო საშუალებისთვის გამოყოფილი წილი.	1.12. Подлимит (подраздел лимита) Часть, выделенная из лимита основного покрытия для конкретной медицинской услуги/лекарства;
1.13 წინამდებარე წესები დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებსა და მისი განხორციელების წესებს.	1.13. Настоящие правила Условия, предусмотренные настоящим договором, которые определяют условия страховой защиты и правила ее осуществления.
1.14 ტერიტორიული ლიმიტი ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვისათვის - საქართველოს ტერიტორია (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა); სამოგზაურო დაზღვევის შემთხვევაში - სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული ტერიტორიული არეალი/ქვეყანა; უბედური შემთხვევის, სიცოცხლის დაზღვევის და საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის შემთხვევაში - მსოფლიო.	1.14. Территориальное ограничение Для страхования здоровья - территория Грузии (за исключением оккупированных территорий); для туристического страхования – территориальный ареал/страна, указанная в полисе туристического страхования; для страхования жизни, от несчастных случаев и лечения за границей – все страны мира.
1.15 სადაზღვევო მოწმობა/პოლისი ბარათი, რომელსაც ფლობს დაზღვეული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და რომელიც ასახავს მის სასარგებლოდ განხორციელებულ, წინამდებარე	1.15. Страховое удостоверение / полис Карта, которой владеет Застрахованное лицо на основании Договора страхования и в которой указаны страховые покрытия, предоставляемые Застрахованному лицу в соответствии с настоящим договором.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, სადაზღვევო დაფარვებს.	
1.16 ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი წინამდებარე ხელშეკრულების და დანართების შესაბამისად, მზღვევლის მიერ დაზღვეულებზე გაცემული ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი.	1.16. Индивидуальная страховая карточка Индивидуальная страховая карта, выданная Страховщиком Страхователю в соответствии с настоящим договором и Приложениями.
1.17 თანაგადახდა სამედიცინო მომსახურების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც სამედიცინო დაზღვევის პირობების თანახმად არ ექვემდებარება მზღვევლის მხრიდან ანაზღაურებას.	1.17. Со-платеж Часть стоимости медицинских услуг не подлежащей возмещению Страховщиком в соответствии с условиями медицинского страхования.
1.18 დაფარვის % სამედიცინო მომსახურების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც სამედიცინო დაზღვევის პირობების თანახმად ექვემდებარება მზღვევლის მხრიდან ანაზღაურებას.	1.18. % Покрытия Часть стоимости медицинских услуг, выплачиваемая Страховщиком в соответствии с условиями медицинского страхования;
1.19 სადაზღვევო ანაზღაურება თანხის ოდენობა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვევლი უზდის დამზღვევს/დაზღვეულს (მოსარგებლეს) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.	1.19 Страховое возмещение Сумма, подлежащая выплате Страховщиком Страхователю (Застрахованному лицу, пользователю (получателю страховой суммы)) в соответствии с условиями настоящего договора при наступлении страхового случая;
1.20 პრემია დამზღვევის მიერ გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით და რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო მომსახურების საფასურს/ღირებულებას.	1.20. Премия Сумма, выплачиваемая Страхователем в качестве стоимости/платы за оказываемые страховые услуги, размер и порядок внесения которой определяются настоящим договором.
1.21 გარდაცვალება (ლეტალური შედეგი) ადამიანის ტვინის ფუნქციონირების შეუქცევადი შეწყვეტა.	1.21. Смерть (летальный исход) Необратимое нарушение функционирования головного мозга человека.
1.22 უბედური შემთხვევა უეცარი, მოულოდნელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომელიც მოხდა დაზღვეულის ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად, ან ზემოქმედების გარეშე და გამოიწვია დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან გარდაცვალება.	1.22. Несчастный случай Неожиданное, внезапное, непредвиденное событие, которое произошло независимо от воли Застрахованного лица, вызванное внешней силой или без воздействия и вызвавшее телесные повреждения или смерть Застрахованного лица.
1.23 გამონაკლისი ის შემთხვევა, რომელიც დაზღვევის პირობების შესაბამისად არ ითვლება სადაზღვევო შემთხვევად და არ ექვემდებარება ანაზღაურებას.	1.23. Исключение Случай, который по условиям страхования не считается страховым случаем и не подлежит возмещению.
1.24 უწყვეტი სადაზღვევო პერიოდი დროის შუალედი, რომელიც აითვლება უკუათვლით ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც პიროვნებას გააჩნდა (თუნდაც სხვადასხვა კერძო სადაზღვევო კომპანიების) დაზღვევა ისე, რომ ყოველ წინა და მომდევნო სადაზღვევო პერიოდებს შორის წყვეტა არ აღემატება 14 (თოთხმეტი) თანმიმდევრულ კალენდარულ დღეს.	1.24. Непрерывный период страхования Промежуток времени, отсчитываемый в обратном порядке от даты начала индивидуального страхового периода, в течение которого лицо было застраховано (в том числе в разных частных страховых компаниях) таким образом, что разрыв между каждым предшествующим и текущим страховыми периодами не превышал 14 (четырнадцать) последовательных календарных дней.
1.25 ალტერნატიული მედიცინა მკურნალობის ისეთი მეთოდები და მიდგომები, იმ მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც მოწოდებულია დაავადებათა სამკურნალოდ ან საპროფილაქტიკოდ, მაგრამ არ მიიჩნევა მეცნიერულად დასაბუთებულად და	1.25. Альтернативная медицина Такие методы и подходы лечения, которые призваны для лечения или профилактики заболеваний но не считаются научно обоснованными и и не признаются современной медициной (не считают академическими и классическими).

თანამედროვე მედიცინა არ აღიარებს (არ მიიჩნევს აკადემიურად და კლასიკურად).	
1.26 თანდაყოლილი/გენეტიკური დაავადება დაავადებები, რომელთა აღმოცენება და განვითარება დაკავშირებულია უჯრედის გენეტიკური აპარატის სხვადასხვა დეფექტებსა და დარღვევებთან, ასევე დაავადებები და განვითარების მანკები, გამოწვეული ორსულობის პერიოდში ნაყოფზე სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებით.	1.26. Врожденные/генетические заболевания Заболевания, возникновение и развитие которых связано с различными дефектами и нарушениями в генетическом аппарате клеток, а также заболевания и пороки развития, вызванные воздействием различных повреждающих факторов на плод во время беременности.
1.27 სარისკო სპორტის სახეობები სპორტის სახეობები, რომელთათვისაც დამახასიათებელია მაღალი საფრთხე სპორტსმენის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ (გარდა მყვინთავებისა, რომლებიც ასრულებენ სამსახურეობრივ მოვალეობას, დამზღვევთან არსებული შრომითი ურთიერთობის ფარგლებში).	1.27 Экстремальные виды спорта Виды спорта, характеризующиеся высокой степенью опасности для жизни и здоровья спортсмена (кроме водлазов, которые выполняют служебные обязательства в рамках трудовых отношений со Страхователем).

2. ხელშეკრულების საგანი	2. Предмет Соглашения
2.1. წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება და მისი დანართები არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მზღვევებს, დამზღვევს და დაზღვეულ(ებ)ს შორის წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.	2.1. Настоящий договор и его приложения регулируют отношения, возникающие между Страховщиком, Страхователем и Застрахованными лицами в соответствии с условиями, предусмотренными настоящим договором и его приложениями.
2.2. წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მზღვევლი ვალდებულია, შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს დაზღვეული პირ(ებ)ისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.	2.2. В соответствии с условиями, предусмотренными настоящим договором и его приложениями, Страховщик обязуется, при условии получения соответствующей страховой премии, выплатить Застрахованным лицам при наступлении страхового случая страховое возмещение, предусмотренное настоящим договором.

3. დაზღვევის პერიოდი	3. Период Страхования
3.1. წინამდებარე დაზღვევის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 2025 წლის ----- 24:00 საათიდან და მოქმედებს 2026 წლის ----- 24:00 საათის ჩათვლით.	3.1. Срок действия настоящего договора начинается с -- ----- 2025 года - 24:00 часов и действует до ----- - 2026 года 24:00 часов включительно.
3.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან; მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობა მათ შორის წარმოიშვა 2025 წლის -----, შესაბამისად თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების პირობები გავრცელდეს მათ შორის 2025 წლის ----- წარმოშობილ ურთიერთობებზე.	3.2. Настоящий договор вступает в силу с даты его подписания Сторонами; Стороны подтверждают, что отношения, предусмотренные настоящим договором, возникли между ними с ----- 2025 года, соответственно Стороны договариваются, что действие настоящего договора распространяются на отношения, возникшие с ----- 2025 года.
3.3 ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ორი თვით ადრე მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ წინამდებარე ხელშეკრულების ახალი პირობებითა და პერიოდით გაგრძელებაზე.	3.3 Стороны могут договориться о продлении настоящего договора с новыми условиями за два месяца до момента истечения срока действия настоящего договора.

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და ვადები	4. Страховая премия, сроки и условия оплаты
--	---

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევის მიერ დაზღვეულთა სასარგებლოდ, გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება ამავე წინამდებარე ხელშეკრულების დანართით #2, გრაფა – „სადაზღვევო პრემია“ და დანართით #4 – სადაზღვევო პრემია და მისი გადახდა გრაფიკის შესაბამისად.	4.1. В соответствии с настоящим Договором объем страховой премии, подлежащей уплате Страховщиком в пользу Застрахованных лиц, определяется Приложением №2 к настоящему договору, раздел – «Страховая Премия» и приложением №4 к настоящему договору – «Страховая премия и График Платежей».
4.2. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდა წარმოებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით №4 განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, არაუგვიანეს დანართში №4 გაწერილი გადახდის თარიღებისა, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მზღვეველის საბანკო ანგარიშის ნომერზე და დამზღვევი/დამსაქმებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს მხოლოდ მზღვეველის შემდეგი ელექტრონული ფოსტიდან _____@_____, მიღებული საანგარიშგებო დოკუმენტაციით (ინვოისი). ამ მიზნით მზღვეველი დამზღვევს წარუდგენს ინვოისის შესაბამის სადაზღვევო პერიოდში გადასახდელ სადაზღვევო პრემიაზე, ამავე პერიოდში წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით დაზღვეულთა სიაში ორგანიზაციის მიერ მოწოდებული წერილობითი (მათ შორის ელ. ფორმით) ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ამასთან მხარეთა შეთანხმებით, ინვოისის წარმოდგენამდე მზღვეველი მოვალეა შედარებისთვის დაზღვეულთა საერთო რაოდენობისა და მიმდინარე გადასახდელი პრემიის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით მიაწოდოს დამზღვევს. პრემიის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, დაზვეულთა სიის შეთანხმების შემდეგ წარმოდგენილი ინვოისის შესაბამისად.	4.2. Страховая премия выплачивается Страхователем в соответствии с графиком, определенным в Приложении №4 к настоящему договору, не позднее дат определенных в Приложении №4 к настоящему договору, переводом. Оплата осуществляться только на банковский счет Страховщика, определенный настоящим договором, и Страхователь/работодатель обязан руководствоваться отчетной документацией (инвойсом), полученной только со следующего адреса электронной почты Страховщика _____@_____. Для этого Страховщик обязан предоставить Страхователю инвойс на страховую премию соответствующего периода страхования в соответствии с изменениями, внесенными Компанией в список Застрахованных лиц в соответствии с условиями настоящего договора за тот же период и представленным в письменном виде и документ не подлежит взаимному утверждению Сторон; По соглашения Сторон, до выставления инвойса Страховщик обязан для сравнения предоставить Страхователю информацию об общем количестве Застрахованных лиц и о подлежащей оплате текущей премии в электронном виде. Страховая премия выплачивается ежемесячно, до 5-го числа каждого следующего месяца, после согласования списка застрахованных в соответствии с представленным счетом-фактурой.
4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №4-ით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკში ცვლილებები განხორციელება შესაბამის პერიოდში დაზღვეულთა სიაში, დამზღვევის მიერ მოწოდებული წერილობითი (მათ შორის ელ. ფორმით) ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.	4.3. Стороны соглашаются, что изменения в графике платежей страховой премии, определенным в Приложении №4 к настоящему договору будут выполнены на основании изменений, осуществляемых Страховщиком в списке Застрахованных лиц в соответствующем периоде в письменном виде (в том числе в электронном виде), которые не подлежат взаимному утверждению Сторон.
4.4. სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად ანგარიშსწორებისას, თუკი დაზღვევის მოქმედება წყდება ვადამდე, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუბრუნოს დამზღვევს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, განვლილი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება ან დაზღვევის ვადამდე შეწყვეტა ხდება დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.	4.4 В случае единовременной оплаты страховой премии, если действие страхования прекращается досрочно, Страховщик обязуется вернуть Страхователю незаработанную премию, за исключением случаев, когда в рамках настоящего договора в течение истекшего страхового периода было выплачено страховое возмещение или досрочное прекращение настоящего договора осуществляется Страхователем по причине невыполнения возложенных настоящим договором обязательств.
4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ სადაზღვევო პრემიის გადახდის თარიღთან და ოდენობასთან, ასევე, დავალიანების (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში)	4.5 Стороны соглашаются, что с целью предоставления информации о дате уплаты страховой премии и ее размере, а также о покрытии просроченных платежей (в случае таких) и последствиях их неуплаты, Страховщик

დაფარვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევთან კომუნიკაცია განახორციელოს დამზღვევის მიერ მითითებული ელ. ფოსტის მისამართზე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით და აღნიშნულ კომუნიკაციას ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც ქალაქის მატარებელზე განხორციელებულს. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ გარდა ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.	имеет право осуществлять связь с Компанией/Страхователем по номеру телефона, адресам электронной почты, указанным Страхователем путем отправки текстовых/письменных, а также устных сообщений и вышеуказанные сообщения имеют такую же юридическую силу, что и на бумажном носителе. Во избежание всякого рода недоразумений Стороны договариваются, что помимо случаев, прямым образом оговоренных настоящим договором, любое официальное сообщение между Сторонами должно носить письменную форму. Письменное сообщение, отправляемой одной Стороной в адрес другой Стороны, отправляется по почте, на указанный в настоящем договоре адрес;
4.6. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, (სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას) მზღვეველი ვალდებულია, სრულად განახორციელოს სადაზღვევო ანაზღაურება.	4.6 В случае смерти Застрахованного лица в течение страхового периода (наступление страхового случая), Страхователь обязан полностью осуществить страховое возмещение.
4.7. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესების დარღვევა:	4.7. Нарушение порядка оплаты страховой премии:
4.7.1 სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია ორგანიზაციას/დამზღვევს დაარიცხოს პირგასამტეხლო დავალიანების თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება იმ შემთხვევაში თუკი, დავალიანების ვადა აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს, აღნიშნული დღეების შემდგომ პერიოდზე და პირგასამტეხლოს დარიცხვის დაწყებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, დამზღვევს მზღვეველი წინასწარ წერილობით შეატყობინებს პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;	4.7.2 В случае нарушения порядка оплаты страховой премии, Страховщик имеет право наложить на Организацию/Страхователя неустойку в размере 0,1% от суммы задолженности за каждый день просрочки. При этом, неустойка может быть наложена в случае если задержка превышает 30 (тридцать) календарных дней, на дальнейший период отмеченных дней и за 10 (десять) рабочих дней до начала начисления неустойки, Страхователь заранее письменно сообщает Страховщику о принятии им решения касательно начисления неустойки;
4.7.2 გადახდის ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, მზღვეველს ასევე უფლება აქვს, დამზღვევს წერილობით განუსაზღვროს ვადა (არანაკლებ ორი კალენდარული კვირისა) სადაზღვევო პრემიის დავალიანების დაფარვისთვის, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლის(ებ)ი/ინდივიდუალური ბარათ(ებ)ი.	4.7.3. После истечения 30 (тридцать) календарных дней от просрочки срока, Страховщик имеет право письменно определить для Страхователя период (не менее двух календарных недель) для покрытия просроченной страховой премии по истечении которого Страховщик будет иметь право расторгнуть настоящее Соглашение и аннулировать страховой полис (полисы)/индивидуальную карту (карточки), выданную на его основании.
4.7.3 ხელშეკრულების/პოლის(ებ)ის/ბარათ(ებ)ის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამზღვევს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.	4.7.4. Прекращение действия настоящего договора/полиса(ов)/карт(ы) не освобождает Страхователя от ответственности уплатить страховую премию, а Страховщика до даты прекращения - от обязательства возмещения наступившего страхового случая.
4.7.4 წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით დადგენილ ვადებში სადაზღვევო ანაზღაურების გადაუხდელობის (იგულისხმება 15	4.7.5. В случае неуплаты страхового возмещения в сроки, установленные настоящим договором и условиями страхования (имеется в виду оплата с

კალენდარულ დღიანი დაგვიანებით გადახდა), შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია მზღვევებს დააკისროს პირგასამტეხლო დღეში 100 (ასი) ლარის ოდენობით. ამასთან, „დამზღვევი“ ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მზღვევებს.	опозданием в 15 календарных дней) Страхователь имеет право наложить на Страховщика оплату неустойки в размере 100 (ста) лари в день. Страхователь также обязан предоставить Страховщику информацию о начисленной неустойке.
---	---

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები	5. Права и обязанности сторон
5.1. დამზღვევი/დაზღვეული პირი უფლებამოსილია:	5.1. Страхователь / Застрахованное лицо имеет право:
5.1.1. მოსთხოვოს მზღვევებს, სადაზღვეო მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებისა და დაზღვევის პირობების შესაბამისად;	5.1.1. Требовать от Страховщика предоставления страховых услуг в соответствии с условиями настоящего договора и условиями страхования;
5.1.2. მიიღოს დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი – ინდივიდუალური სადაზღვეო ბარათ(ებ)ი; სადაზღვეო ბარათის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვევებს დაკარგული ბარათის დუბლიკატის გაცემა, რომლის ხარჯებსაც გაიღებს მზღვეველი;	5.1.2. Получить документ, подтверждающий страхование - индивидуальный страховой полис. В случае утери или уничтожения идентификационной карты, требовать от Страховщика выдачи дубликата утерянной карты. Расходы на выдачу дубликата несет Страховщик;
5.1.3. სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვეო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით დადგენილ ვადებში;	5.1.3. При наступлении страхового случая получить страховое возмещение в сроки и в соответствии условиям, определенных в настоящем договоре;
5.1.4. მოსთხოვოს მზღვევებს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. აგრეთვე წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში, ნებისმიერი დოკუმენტაციის/დანართის/ინფორმაციის მისთვის გადაცემა როგორც წერილობითი ასევე ელექტრონული ფორმით.	5.1.4. Потребовать от Страховщика надлежащего исполнения взятых на себя обязанностей; также, в рамках настоящего договора страхования, потребовать от Страховщика выдачу любой документации/Приложения/информации в письменной или электронной форме.
5.2. დამზღვევი/დაზღვეული პირი ვალდებულია:	5.2. Страхователь / Застрахованное лицо обязан:
5.2.1. უზრუნველყოს სადაზღვეო შესატანის (პრემიის) გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.	5.2.1. Обеспечить выплату страхового взноса (премии) в соответствии с условиями, установленными настоящим договором.
5.2.2. უზრუნველყოს მზღვეველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის წარდგენა დაზღვევის განაცხადის შევსების გზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ინფორმაცია დასაზღვევი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ (პირადობის და ნათესაური კავშირის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის მიხედვით), სახელი გვარი, პირდი ნომერი, დაბადების თარიღი, ასევე ოჯახის წევრის შემთხვევაში ნათესაური კავშირი).	5.2.2. Обеспечить предоставление Страховщику достоверной информации, необходимой для заключения настоящего договора, путём заполнения заявления на страхование (в случае его наличия); информации о страхуемых работниках и членах их семей (согласно соответствующим документ(ам), подтверждающим личность и родственную связь), включающая имя, фамилию, личный номер, дату рождения, а также в случае члена семьи — родственную связь.
5.2.3. უზრუნველყოს მზღვეველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ით განსაზღვრული, დაზღვეულ პირთა შესახებ ინფორმაციის პაროლით დაცული (კოდირებული) ფაილით გადაცემა.	5.2.3. Обеспечить передачу Страхователю информации о Застрахованных лицах, определённых в Приложении №2 к настоящему договору, в защищенном паролем (кодированном) файле.
5.2.4. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ბარათებისა და დაზღვეული პირ(ებ)ისათვის	5.2.4. Страхователь обязан обеспечить передачу Застрахованным лицам идентификационных карт и

განკუთვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის, მათ შორის სადაზღვევო პროდუქტისათვის განკუთვნილი საინფორმაციო ფურცლის, წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ამსახველი დოკუმენტის და წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, პრეტენზიის წარდგენის შესაბამისი დოკუმენტის დაზღვეული პირ(ებ)ისათვის მიწოდება/გადაცემა;	любой иной предназначенной для них информации/документации, в том числе Информационного листа для страхового продукта, документа отражающего существенные условия настоящего договора и документ для представления претензии.
5.2.5. დამზღვევი ვალდებულია გააცნოს დაზღვეულ პირ(ებ)ს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობები და ის ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებათ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე;	5.2.5. Страхователь обязан ознакомить Застрахованных лиц с условиями страхования, установленными настоящим договором, и теми обязательствами, которые возлагаются на них исходя из настоящего договора.
5.2.6. შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულ პირთა სიაში მომხდარი ცვლილებების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად;	5.2.6. Уведомлять Страховщика о любых изменениях в списке Застрахованных лиц в соответствии с требованиями настоящего договора.
5.2.7. დამზღვევი ვალდებულია სარეგისტრაციო მონაცემ(ებ)ის, ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის და ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ის ცვლილების შემთხვევაში, ყოველ ჯერზე განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების ან/და დამზღვევის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, წერილობითი ფორმით შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.	5.2.7. Страхователь обязан, в случае изменения регистрационных данных, уполномоченного(ых) на руководство/представительство лица (лиц) и бенефициарного(ых) владельца(ев), письменно уведомить Страховщика о любого рода изменении, осуществленного каждый раз, и/или начале процесса реорганизации, ликвидации страхователя в течение 3 (трех) рабочих дней с наступления указанных обстоятельств.
5.2.8. მიიღოს სამედიცინო მომსახურება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებებში;	5.2.8. Получать медицинские услуги только в медицинских учреждениях, имеющих соответствующую лицензию/разрешение.
5.2.9. დამზღვევი ვალდებულია დაზღვეულთა სიაში შესატანი ცვლილილებების შესახებ აცნობოს “მზღვეველს” წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში.	5.2.9. Страхователь обязан сообщить Страховщику о внесении изменений в список Застрахованных лиц, в сроки, определенные в настоящем договоре и в установленном порядке.
5.2.10. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათების დაზღვეულთათვის (თანამშრომლები) ჩაბარება;	5.2.10. Страхователь обязан обеспечить доставку Застрахованным лицам (сотрудникам) полученных индивидуальных страховых карт;
5.2.11. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო მომსახურებით სარგებლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი) არ გადასცეს სხვა პირს სადაზღვევო მომსახურების მისაღებად;	5.2.11. Страхователь обязан не передавать документ, дающий право приема страховых услуг (индивидуальная страховая карта) другому лицу с целью получения страховых услуг;
5.2.12. წარუდგინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესაბამისად გათვალისწინებული დოკუმენტები ქართულ ენაზე, არაქართულენოვანი დოკუმენტების მზღვეველისათვის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ, ქართულად ნათარგმნი, ნოტარიულად დამოწმებული წესით. ამასთან თარგმნის ვალდებულება არ შეეხება ინგლისურ და თურქულ ენაზე მომზადებულ და წარდგენილ დოკუმენტაციას, შესაბამისად მზღვეველი მოვალეა მიიღოს თურქულ და ინგლისურ ენებზე შესრულებული დოკუმენტები.	5.2.12. Предоставить Страховщику предусмотренные документы по страховому случаю на грузинском языке. Документы, составленные на иностранном языке, можно предоставить Страховщику только в том случае, если они будут переведены на грузинский язык и заверены нотариально. При этом, обязательство по переводу не касается документации, подготовленной и предоставленной на английском и турецком языках, соответственно, Страховщик обязан принять документацию, подготовленную на английском и турецком языках.
5.2.13. დამზღვევი/დაზღვეული პირი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს «მზღვეველის» მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან	5.2.13. Страхователь/Застрахованные лица обязаны не препятствовать процессу поиска Страховщиком данных, связанных с наступлением страхового случая

დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა/მოძიებას;	или его последствий;
5.2.14. დამზღვევი/დაზღვეული პირები ვალდებული არიან ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.	5.2.14. Страхователь/Застрахованные лица обязаны надлежащим образом выполнять свои обязательства.
5.3. მზღვეელი უფლებამოსილია:	5.3. Страховщик имеет право:
5.3.1. დაზღვევის პირობებით დაფარული შემთხვევის დადგომისას მოთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს მის(მათ) ხელთ არსებული, წინამდებარე ხელშეკრულებით ან მისი პირობებით განსაზღვრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტს, დაზღვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ჩასატარებელ ან ჩატარებულ მკურნალობას და სამედიცინო ხარჯებს და სხვა, რაც აუცილებელია აღნიშნული შემთხვევის გარემოებების ან მზღვეელის პასუხისმგებლობის მოცულობის დასადგენად. ამასთან, მზღვეელი უფლებამოსილია, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თუკი დამზღვევის/დაზღვეულის მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა აღემატება 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენლობა განპირობებულია ობიექტური გარემოებებით. ამასთან, სიცოცხლის ან უბედური შემთხვევისაგან (გარდაცვალებაზე) დაზღვევის შემთხვევაში თუკი შემთხვევის დადგომიდან გასულია 12 (თორმეტი) თვე და მზღვეელთან წინამდებარე ხელშეკრულებით/პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია წარდგენილია არა სრულად, მზღვეელი აღნიშნულ შემთხვევას აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და თავისუფლდება ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან.	5.3.1. В случае возникновения страхового случая, покрываемого условиями страховки потребовать от Страхователя/Застрахованного лица информацию и документацию, как это определено (при необходимости Страховщик имеет право дополнительно определить) настоящим договором или его положением, подтверждающие факт наступления страхового случая, ухудшения состояние здоровья Застрахованного лица, затраты на лечение которые были или будут проведена и другую информацию необходимую для выявления обстоятельств данного случая или объема ответственности Страховщика. Кроме того, Страховщик имеет право отказаться от уплаты страхового возмещения, если срок для предоставления документов медицинских расходов, определенных в данном положении, превышает 60 (шестьдесят) календарных дней, за исключением случаев, когда непредоставление соответствующих документов обусловлен объективными обстоятельствами; кроме того, в случае страхования жизни или от несчастного случая (смерти) Страховщик не будет рассматривать случай в качестве страхового случая и будет освобожден от обязанности уплаты страхового возмещения, если после наступления случая прошло 12 (двенадцать) месяцев и документы, определенные в настоящем договоре/положении, относящиеся к данному случаю не полностью представлены Страховщику.
5.3.2. მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო შესატანის (პრემია) გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში.	5.3.2. требовать от Страхователя/Застрахованного лица уплаты страхового взноса (премии) в порядке и сроки, установленные настоящим договором.
5.3.3. უარი თქვას დაზღვევის პირობებით დაფარული შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებაზე თუკი დამზღვევი/დაზღვეული პირი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით ნაკისრ ვალდებულებებს.	5.3.3. отказаться от возмещения ущерба в результате случая, покрываемого страхованием, если Страхователь/Застрахованное лицо нарушает взятые на себя обязательства по настоящему договору и условиями страхования.
5.3.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის, მათ შორის, ოჯახის წევრების დაზღვევის წესის დარღვევის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში შეუწყვიტოს სადაზღვევო მომსახურება დაზღვეულ პიროვნებას, არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება და მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო კომპანიის მიერ გაწეული დანახარჯების სრული და დაუყოვნებელი ანაზღაურება, ან დამზღვევს, თუ დაზღვევის წესის დარღვევა მოხდა დამზღვევის ბრალით.	5.3.4. прекратить предоставление страховых услуг Страхователю, отказаться от уплаты страхового возмещения и потребовать от Страхователя/Застрахованного лица немедленно компенсировать расходы, потраченные на данное лицо Страховщиком в полном объеме, если обнаружится факт нарушения условий страхования по настоящему договору, включая страхования членов семьи.
5.3.5. არ აანაზღაუროს ის ზარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევის პირობებით.	5.3.5. не возмещать затраты, которые не предусмотрены условиями настоящего договора.
5.3.6. მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს	5.3.6. требовать от Страхователя надлежащего исполнения обязанностей, принятых в соответствии с

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.	настоящим договором.
5.3.7. მოსთხოვოს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა შეთანხმებული ფორმით.	5.3.7. требовать от Страхователя предоставления всей информации, необходимой для подписания настоящего договора.
5.3.8. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ცვლილება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით #3 განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების მომწოდებელთა (პროვაიდერები) სიაში. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ხელშეკრულების მე-14 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულებასა და მის დანართებში ცვლილებების/დამატებების შეტანის წესები. მზღვეველი ვალდებულია ცვლილებების განხორციელების შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს დამზღვევს 1 (ერთი) თვით ადრე. ცვლილების განხორციელებისას მზღვეველი მოვალეა შეინარჩუნოს ამ ხელშეკრულებით და დაზღვევის პირობებით განსაზღვრული პროვაიდერთა მინიმალური რაოდენობა.	5.3.8. вносить изменения в список поставщиков (провайдеров), определенных в Приложении №3 настоящего договора в течение периода страхования. Стороны соглашаются, что правила, определенные для внесения изменений/дополнений в приложениях и в настоящем договоре в статье 14 настоящего Договора не будет применяться в таких случаях. Страховщик обязан уведомить Страхователя/Застрахованного о таких изменениях в письменной форме за 1 (один) месяц. При внесении изменений, Страховщик обязан соблюдать минимальное количество провайдеров, определенное настоящим договором и условиями страхования.
5.3.9. არ აანაზღაუროს იმ პირის (მათ შორის, დაზღვეულის ოჯახის წევრების) სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ არიან მითითებულნი დაზღვეულთა სიაში (წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #2).	5.3.9. не возмещать стоимость медицинских услуг, расходы по медицинским услугам лицам (включая членов семьи Застрахованного лица), которые не указаны в списке застрахованных лиц Приложение №2 к настоящему договору.
5.3.10. არ აანაზღაუროს იმ გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები, რომლებიც საჭირო გახდა: დაზღვეულის მიერ სამედიცინო დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მითითებების დაუმორჩილებლობით ან უგულვებელყოფით, დაზღვეულის თვითმკვლელობის მცდელობის, თვითდაზიანების, თვითმკურნალობის, სამოქალაქო ომში, საომარ მოქმედებებში, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შედეგად, დაზღვეულის დაკავების ან/და პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, სამსახურობრივი ურთიერთობის შეჩერების შემდეგ.	5.3.10. не возмещать стоимость расходов на такое обследование и лечение, которые возникли: из-за попытки самоубийства, самоповреждения, самолечения, участия в гражданской войне, военных действиях, антигосударственных демонстрациях, террористических актах, во время задержания и/или ареста Застрахованного лица, после прекращения рабочих отношений.
5.3.11. არ აანაზღაუროს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დაზღვეულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისას მიღებული დაზიანებების მკურნალობის ხარჯები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეულის ქმედება მიმართული იყო თავისი ან სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.	5.3.11. Не возмещать стоимость лечения повреждений, возникающих в результате противоправных действий Страхователя, охватываемых уголовным кодексом, за исключением случаев, когда действия Застрахованного лица были продиктованы самообороной или защитой других.
5.3.12. არ აანაზღაუროს ეპიდემიით, პანდემიით გავრცელებული დაავადებების დიაგნოსტიკის/მკურნალობის ხარჯები, (რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ), თუმცა მოცემული უფლება არ შეეხება დაავადების შემდგომ კვლევისა და მკურნალობის ხარჯებს.	5.3.12. Не возмещать расходы на диагностику/лечение заболеваний, распространенных эпидемией, пандемией (которые профинансированы государством), однако данное право не касается расходов на дальнейшей обследование и лечение.
5.3.13. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეული პირი მზღვეველს ანიჭებს უფლებას: (I) ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე, სადაზღვევო შემთხვევის შესწავლის მიზნით,	5.3.13. На основании настоящего договора Застрахованное лицо предоставляет право Страховщику: (I) с согласия Застрахованного лица в целях изучения страхового случая, запрашивать все финансовые/юридические/медицинские документы,

შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დაზღვეული პირის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური/სამედიცინო/იურიდიული დოკუმენტაცია. (II) მზღვეველმა განახორციელოს მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის საიდენტიფიკაციო მონაცემები/პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) დამუშავება სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში კომპანიის საქმიანობისა და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის.	относящиеся к медицинскому обслуживанию Застрахованного лица. (II) Застрахованное лицо предоставляет право Страхователю обрабатывать его/ее персональные данные (включая идентификационные данные/соответствующие документы для идентификации личности) в процессе осуществления страховой деятельности и в целях выполнения обязанностей, возложенных компанией и законодательством.
5.4. მზღვეველი ვალდებულია:	5.4. Страховщик обязуется:
5.4.1. უზრუნველყოს დაზღვეული პირის ჯანმრთელობის დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების დანართში #1 მითითებული დაზღვევის პირობების შესაბამისად.	5.4.1. Обеспечить медицинское страхование Застрахованного лица в соответствии с условиями, определенными в Приложении №1 к настоящему договору.
5.4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გადასცეს დამზღვევს დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი დაზღვევის მოწმობა/პოლისი და თითოეულ “დაზღვეულზე” დაზღვევის შესაბამისი ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი.	5.4.2. После подписания настоящего договора передать Страхователю документ, удостоверяющий страхование - Страховое Удостоверение/Полис и индивидуальные страховые карты каждому Застрахованному лицу.
5.4.3. მესამე პირებზე ან ორგანიზაციაზე გასცეს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მხოლოდ ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის შემდეგ.	5.4.3. Раскрывать информацию, связанную с состоянием здоровья Застрахованного лица или другие связанные с ними данные третьим лицам или организациям только с письменного согласия застрахованного лица.
5.4.4. დაზღვევის პირობებით დაფარული შემთხვევის დადგომისას დამზღვევის /დაზღვეულის მიერ ძალაში მყოფი დაზღვევის ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში #1 მითითებული დაზღვევის პირობების შესაბამისად.	5.4.4. Выдавать страховое возмещение в соответствии с условиями, приведенными в Приложении №1 к настоящему договору при наступлении страхового случая, охватываемого условиями страхования после представления индивидуальной страховой карточки и соответствующей документации Страхователем/Застрахованным лицом.
5.4.5. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის თანდართული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები.	5.4.5. Надлежащим образом исполнять обязанности, принятые в соответствии с настоящим договором и приложенными условиями страхования.
5.4.6. დაზღვეული პირის მიერ პრეტენზიის მზღვეველისათვის წარდგენის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი პრეტენზიაში მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ შესასწავლი საკითხის სირთულიდან გამომდინარე არ არის საკმარისი მითითებული ვადა, მაშინ მზღვეველი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ დამზღვევს და არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა (ამ პუნქტით გათვალისწინებული 10 (ათი) დღიანი ვადის ჩათვლით) აცნობოს დამზღვევს/დაზღვეულს პრეტენზიის შესწავლის შედეგები, რომელიც უნდა შეიცავდეს არგუმენტირებულ დასაბუთებას და შესაძლებლობის გათვალისწინებით, უნდა შეიცავდეს პრეტენზიის რეგულირების პირობების შეთავაზებას. მზღვეველის მიერ განხილვას ექვემდებარება მხოლოდ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით	5.4.6. В случае подачи Застрахованным лицом претензии Страховщику, не позднее чем в течение 10 (десяти) календарный дней с получения претензии дать письменный ответ на счёт обстоятельств указанных в претензии. В том случае, если исходя из сложности изучаемого вопроса указанный срок не является достаточным, Страховщик обязан сообщить об этом Страхователю и не более чем в течение 30 (тридцати) календарных дней сообщить Страхователю/Застрахованному лицу результаты изучения претензии, что должно включать в себя аргументированное обоснование и учитывая возможность - предложение условий урегулирования претензии. Рассмотрению Страховщиком подлежит только претензия, полученная в определенном настоящим договором порядке. (прилагается к договору в виде Приложения №5).

მიღებული პრეტენზია.(რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართი # 5-ის სახით).	
---	--

6. «დაზღვეულთა» სიაში ცვლილებების შეტანის წესი	6. Порядок внесения изменений в список Застрахованных лиц
6.1. სადაზღვევო ბარათის ან/და დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილების განხორციელების სურვილის შემთხვევაში, დამზღვევი/დამსაქმებელი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს ცვლილების განხორციელების სასურველი თარიღის შესახებ, ამასთან აღნიშნული შეტყობინების მზღვეველისათვის მიწოდება უნდა მოხდეს ცვლილების განხორციელების თარიღამდე სულ მცირე 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე (მათ შორის ელ. ფორმით);. იმ შემთხვევაში თუ ცვლილების განხორციელების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო/უქმე დღეს, ცვლილების ასახვა მოხდება პირველივე სამუშაო დღეს.	6.1. Если Страхователь/Работодатель желает внести изменения в список застрахованных лиц и/или изменить страховое покрытие (идентификационная/страховая карта), Страхователь обязан уведомить Страховщика о желаемой дате изменения, при этом, уведомление должно быть доставлено Страховщику не менее чем за 1 (один) рабочий день до даты внесения изменений. Если дата изменения будет совпадать с нерабочим днем, это изменение будет отражено в первый рабочий день (в том числе по электронной почте).
6.2. პირი დაზღვეულად ჩაითვლება,დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის შესაბამისი ცვლილების წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) ფორმით მიწოდების საფუძველზე, შესაბამისად პირველი არასრული სადაზღვევო თვის განმავლობაში, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, მოქმედი სადაზღვევო პერიოდის დღეების პროპორციულად (თვეში დღეების რაოდენობიდან გამომდინარე).	6.2. Лицо считается Застрахованным на основании письменного уведомления Страховщика (в том числе в электронной форме) о соответствующих изменениях, соответственно в течение первого неполного страхового месяца Страховщик обязан уплатить страховую премию пропорционально дням действующего страхового периода (исходя из количества дней в месяце).
6.3. პირის მიმართ დაზღვევის მოქმედება შეჩერდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის შესაბამისი მოთხოვნის წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) ფორმით მიწოდებისთანავე, ხოლო შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მზღვეველის შიდა ნორმატიული დოკუმენტაციით განსაზღვრული პროცედურების დასრულებისთანავე.	6.3. Страхование лица будет немедленно приостановлено после отправки Страхователем письменного требования Страховщику (в том числе и в электронной форме), прекращение страховки осуществится по завершению процедуры, в соответствии с настоящим договором и внутренними нормативными документами Страховщика.
6.4. დაზღვეულთა სიაში დაზღვევის მომენტისათვის დასაქმებული (არსებული) თანამშრომლ(ებ)ის ან მისი ოჯახის წევრების დამატება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან პირველი 2 (ორი) თვის განმავლობაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: ქორწინება და/ან შვილის შეძენა.	6.4. Добавление членов семьи (текущего) работающего сотрудника(ов) к списку Застрахованных лиц существующих на дату страхования можно осуществлять только в течение первых двух месяцев периода страхования, кроме седующих случаев: в случае вступления в брак сотрудников и/или рождение детей.
6.5. დაზღვეულთა სიაში სადაზღვევო პერიოდის პირველი ერთი თვის შემდეგ შესაძლებელია ახალი თანამშრომლის ან მისი ოჯახის წევრ(ებ)ის დამატება, მხოლოდ შრომითი უერთიერთობის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.	6.5. По истечению первого месяца страхового периода возможно добавление в список застрахованных нового сотрудника или членов его семьи, только в течение одного месяца от начала трудовых отношений.
6.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი სადაზღვევო ბარათის მეორეთი ჩანაცვლება (გულისხმობს როგორც ბარათის გაუმჯობესებას, ასევე გაუარესებას) (თუ ასეთ შესაძლებლობას წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს და დაზღვეულს არ აქვს მიღებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული	6.6. Замена одной карты на другую карту, предусмотренной настоящим договором (имеется в виду как улучшение, так и ухудшение условий карты) (если такая возможность предусмотрена настоящим договором и Застрахованное лицо не пользовался ни одной из услуг предусмотренным настоящим договором), добавление нового Застрахованного лица в качестве члена семьи (если возможность страхования

რაიმე მომსახურება), ოჯახის წევრის სახით ახალი დაზღვეულის დამატება (თუ ოჯახის წევრის დაზღვევის შესაძლებლობა გათვალისწინებულია დაზღვევის ხელშეკრულებით) ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის დამზღვევის/დამსაქმებლის არსებული თანამშრომლის ახალი დაზღვეულის/დამზღვევის სახით დამატება (თუ ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით) შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში (თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული), ამასთან ოჯახის წევრის სახით ახალი დაზღვეულის დამატებისას ოჯახის წევრის დაზღვევა განხორციელდება მხოლოდ იმ ტიპის სადაზღვევო ბარათით, რომლითაც დაზღვეულია შესაბამისი დამზღვევი/დაზღვეული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კონკრეტული დაზღვეულ(ებ)ის (ოჯახის წევრ(ებ)ის) ინდივიდუალური ბარათით დაზღვევის შესაძლებლობა). საერთო სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ახალმიღებული თანამშრომლ(ებ)ი, ექვემდებარებიან დაზღვევას დამსაქმებელთან/დამზღვევთან შრომით/მომსახურების/სასამსახურო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო ოჯახის წევრის დაზღვევის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ თავისსავე სადაზღვევო ბარათის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში. ზემოხსენებული ვადის მიუხედავად, მეუღლის და გერ(ებ)ის, ოჯახის წევრის სახით დაზღვეულად დამატება შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაქორწინების შემთხვევაში ასეთი ფაქტის დადგომიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ახალშობილი შვილის შემთხვევაში – ბავშვის დაბადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში - შვილად აყვანიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;	членов семьи предусмотрена настоящим договором) или добавление такого сотрудника Страхователя/Работодателя, который в момент оформления настоящего договора уже был сотрудником Страхователя/Работодателя, как нового Застрахованного/Страхователя (если возможность страхования таких сотрудников предусмотрена настоящим договором) допускается только в течение 2 (двух) месяцев с момента вступления в силу настоящего договора (если настоящим договором не предусмотрен другой срок) и только по карте такого же типа, как и у соответствующего Страхователя/Застрахованного лица (за исключением случаев, когда настоящим Договором предусмотрена возможность страхования конкретного Застрахованного лица или члена его семьи по индивидуальной страховой карте). Новые сотрудники, принятые на работу в течение общего страхового периода, подлежат страхованию в течение одного месяца после заключения с Работодателем/Страхователем трудового/служебного договора либо договора на оказание услуг, а возможность застраховать членов своих семей они имеют только в течении 1 (одного) месяца с момента вступления в силу собственной карты. Независимо от вышеуказанного срока, супруг(а) и приемные дети могут быть добавлены в число Застрахованных лиц в качестве членов семьи только в случае заключения брака в период действия настоящего договора, в течение одного месяца после наступления такого факта, а новорожденный ребенок - в течение одного месяца с момента его рождения, а усыновленный ребенок - в течение одного месяца с момента его усыновления.
6.7. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, დაზღვეულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, „დამზღვევი“ ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების საფუძველზე დაზღვეულის (ასევე მისი ოჯახის წევრების) მიმართ დაზღვევა შეწყდება მომდევნო სადაზღვევო (საანგარიშო) დღიდან. ასეთ შემთხვევაში პრემიის დაანგარიშება მოხდება ფაქტიური კალკულაციისა და მოქმედი სადაზღვევო პერიოდის დღეების პროპორციულად (გარდა გამონაკლისებისა). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მზღვეველს ის თანხები, რომელიც მზღვეველმა გასცა	6.7. Если стороны не смогут договориться иначе, в случае прекращения трудовых отношений с застрахованным, Страхователь обязан предоставить Страховщику информацию и соответствующую документацию о прекращении трудовых отношений, в установленный настоящим договором срок. На основании предоставления указанной информации/документации страхование Застрахованного лица (а также членов его семьи) прекращается со следующего страхового (отчетного) дня. В таком случае, расчет премии будет произведен пропорционально фактической калькуляции и дням действующего страхового периода (кроме исключений). В случае нарушения обязательства относительно предоставления определенной настоящим пунктом информации, Страхователь обязан полностью возместить Страховщику суммы, переданные Страховщиком в виде страхового возмещения из-за отсутствия информации о прекращении трудовых

სადაზღვევო ანაზღაურების სახით დაზღვეულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის არ ქონის გამო. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აზუსტებენ, რომ დამზღვევის გადაწყვეტილებით, მზღვეველთან შეთანხმებით, შესაძლოა მოხდეს სამსახურიდან წასული (გათავისუფლებული) პირ(ებ)ის დაზღვევის პირობების შენარჩუნება. ასეთ შემთხვევაში, დაზღვეულ(ებ)ისთვის პირობების შენარჩუნება მოხდება დამზღვევის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.	отношений с застрахованным лицом. Во избежание каких-либо недоразумений, Стороны уточняют, что по решению Страхователя и при согласовании со Страховщиком возможно сохранение страховых условий для освобожденного (уволненного) лица (лиц). В таких случаях, страховые условия для Застрахованного лица (лиц) будут сохранены на основании письменного обращения Страхователя.
6.8. ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიისათვის საკონტაქტო მეილიდან ინფორმაციის მიწოდების შემდეგ დაზღვევის გაუქმება.	6.8 В случае миграции за границу членов семьи, аннулирование страхования после предоставления страховой компании информации по контактному мейлу.
6.9. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აზუსტებენ, რომ დამზღვევის გადაწყვეტილებით, მზღვეველთან შეთანხმებით, შესაძლოა მოხდეს სამსახურიდან წასული (გათავისუფლებული) პირის დაზღვევის პირობების შენარჩუნება. ასეთ შემთხვევაში, დაზღვეულისთვის პირობების შენარჩუნება მოხდება დამზღვევის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.	6.9. Во избежание всякого рода недоразумений, Стороны уточняют, что по решению Страхователя, с согласия Страховщика, условия страхования могут быть сохранены для ушедших с работы лиц (уволненных). В таком случае, сохранение условий страхования для застрахованного осуществляется на основании письменного обращения Страхователя.

7. განსაკუთრებული შეთანხმება	7. Особое соглашение
7.1. იმ შემთხვევაში თუ, შემთხვევა (იგულისხმება მხოლოდ სტაციონარული შემთხვევები) დადგა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე და სადაზღვევო მომსახურების (ანაზღაურების) საჭიროება წარმოშობილია ასეთი შემთხვევის შედეგად, მზღვეველი გათავისუფლებულია მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე ჩატარებული სამედიცინო მომსახურების/მედიკამენტების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.	7.1. В случае если страховой случай (подразумевается только стационарные случаи) наступил до начала периода страхования и страховые услуги (возмещение) требуются при наступлении такого случая, Страховщик освобождается от обязанности возмещения, а страховщика до даты прекращения - от обязательства возмещения наступившего страхового случая.
7.2. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი შემთხვევა გრძელდება სადაზღვევო პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ, ხოლო დაზღვეული მზღვეველთან აღარ აგრძელებს უწყვეტად წინამდებარე ხელშეკრულებას, მზღვეველი გათავისუფლებულია ანაზღაურების ვალდებულებისაგან.	7.2. Если страховой случай произошел в течение периода страхования, и продолжается после истечения периода страхования, а Страхователь не продлевает настоящий договор со Страховщиком на непрерывной основе, Страховщик освобождается от обязанности возмещения.
7.3. იმ შემთხვევაში თუ, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი შემთხვევა გრძელდება სადაზღვევო პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ, ხოლო დაზღვეული მზღვეველთან უწყვეტად აგრძელებს წინამდებარე ხელშეკრულებას, სადაზღვევო ლიმიტი, ასევე შემთხვევის რეგულირება ხორციელდება იმ სადაზღვევო პირობების მიხედვით, რომელიც ამ დროისათვის არის მოქმედი.	7.3. Если страховой случай произошел в течение периода страхования и продолжается после истечения периода страхования и Страхователь продлевает действие настоящего договора со Страховщиком на непрерывной основе, такой страховой случай регулируется в соответствии с условиями страхования действительными на данное время.

7.4. მზღვეველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დამზღვევის მიერ წერილობითი მიმართვის შესაბამისად დაიწყოს დამზღვევის თანამშრომელთა სპეციალური პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება.	7.4. Страховщик обязуется инициировать специальный профилактический медицинский осмотр работников Страхователя в соответствии с письменным обращением Страхователя в течение срока действия настоящего договора.
7.5. მზღვეველი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ეპიდემიით, პანდემიით გავრცელებული დაავადებების დიაგნოსტიკის/მკურნალობის ხარჯები (რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ), თუმცა ვალდებულია აანაზღაუროს თანმდევი ან/და დაავადების შემდგომი კვლევისა და მკურნალობის ხარჯები.	7.5. Страховщик не обязан возмещать расходы на диагностику/лечение заболеваний, распространённых эпидемией, пандемией (которые финансируются государством), однако он обязан возмещать расходы на сопутствующее и/или дальнейшее обследование и лечение.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა	8. Ответственность сторон
წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.	В случае отказа или ненадлежащего исполнения обязанностей, принятых настоящим договором, Стороны несут ответственность в соответствии с нормами и правилами, предусмотренных грузинским законодательством.

9. კონფიდენციალურობა	9. Конфиденциальность
წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, დაიცვას და არ გაახმაუროს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის, ის პერსონალური მონაცემები, რომელიც მუშავდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.	Каждая из Сторон настоящего договора обязуется защищать и не разглашать информацию, относящуюся к настоящему договору, в том числе персональные данные, которые обрабатываются на основании настоящего договора без предварительного письменного согласия другой Стороны, за исключением случаев, предусмотренных грузинским законодательством.

10. ფორს-მაჟორი	10. Форс-мажор
10.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამკიცდება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია ფორს-მაჟორული გარემოებით. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მზღვევლის და/ან დამზღვევის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, გაფიცვით, ლოკაუტით, ტერორისტული აქტით, დივერსიით, საბოტაჟით, საომარი/საბრძოლო მოქმედებებით, სამოქალაქო მღელვარებით, რევოლუციით, ნაციონალიზაციით, რეკვიზიციით და სხვა მსგავსი მოვლენებით, რომლებიც	10.1. Стороны освобождаются от ответственности, вызванных отказом в исполнении обязательств или ненадлежащим исполнением обязательств по настоящему договору, если доказанно, что это вызвано форс-мажорными обстоятельствами. Для целей настоящего договора форс-мажор подразумевает обстоятельства вне контроля Сторон, которые не связаны с небрежностью или ошибками Страховщика/Застрахованного лица и/или Страхователя и не могут быть предусмотрены. Такие обстоятельства могут быть вызваны войной, стихийным бедствием, забастовкой, локаутom, террористическим актом, диверсией, саботажем, военными действиями, гражданскими беспорядками, революцией, национализацией, реквизицией или аналогичными событиями, находящимися вне контроля Сторон и которые неизбежны. Сторона обязана немедленно уведомлять другую Сторону о вышеуказанных обстоятельствах как в письменном так и в устном виде. Если Сторона отправитель оповещения не получит от второй Стороны письменного ответа, то первая Сторона по своему усмотрению, учитывая целесообразность и

მხარეების კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს, როგორც ზეპირად, ისე წერილობით; თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.	возможность продолжает выполнять возложенные настоящим договором обязательства и старается найти такие альтернативные пути выполнения обязательств, которые не будут зависеть от воздействия форс-мажорных обстоятельств.
10.2. მხარეები ვალდებული არიან ფორს-მაჟორული სიტუაციის აღმოფხვრისთანავე შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები.	10.2. Стороны обязаны исполнить обязательства, предусмотренные договором, немедленно после устранения форс-мажорной ситуации..
10.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობა/ზემოქმედება გრძელდება 3 (სამ) თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.	10.3 В случае если продолжительность/срок действия форс-мажорных обстоятельств составляет более 3 (трех) месяцев, каждая Сторона вправе потребовать прекращения настоящего договора.

11. სუბროგაცია	11. Суброгация
დაზღვეულისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე.	Страховщик оставляет за собой право, после возмещения Застрахованному лицу расходов на медицинские услуги, требовать компенсацию понесенных им расходов от лиц, ответственных за вред, причиненный здоровью Застрахованного лица.

12. დავების გადაწყვეტა	12. Разрешение споров
12.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.	12.1. Все споры, возникающие в связи с настоящим договором между Сторонами, разрешаются по взаимному согласию. Если Стороны не смогут достичь соглашения, спор между Сторонами разрешается в судебном порядке в соответствии с порядком, установленным действующим законодательством Грузии.
12.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.	12.3. Случаи и условия не рассмотренные в настоящем договоре, регулируются в порядке, установленном действующим законодательством Грузии.
12.4. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ან მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქუჩა #24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge . „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული	12.4. В случае возникновения споров/аргументов, связанных с настоящим договором, Стороны должны обратиться к посреднику страхового посредника Ассоциации страховых компаний Грузии по следующей телефонной линии: 2 555 155, или по адресу: ул. Тбилиси, И. Мосашвили, д. 24, или по электронной почте: mediacia@insurance.org.ge . Общие расходы, связанные с процессом «Страховое посредничество» «Ассоциации страховых компаний Грузии», финансируются из членского дохода «Ассоциации страховых компаний Грузии».

საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.	
--	--

13. ხელშეკრულების მოშლა	13. Прекращение Договора
13.1. ამ ხელშეკრულების მოშლის საფუძველი შეიძლება გახდეს:	13.1. Основанием для прекращения действия настоящего договора могут стать:
13.1.1. მხარის ინიციატივა, თუ მეორე მხარე არღვევს ნაკისრ ვალდებულებას. ხელშეკრულების მოშლამდე პირველმა მხარემ მეორე მხარეს ვალდებულების შესასრულებლად უნდა მისცეს დამატებითი ვადა (არანაკლებ 2 კვირისა). ამ საფუძველით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში პირველ მხარეს შეიძლება წარმოეშვას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.	13.1.1. Инициатива одной Стороны, если другая Сторона нарушает взятые обязанности. До расторжения договора первая сторона должна дать другой Стороне дополнительный срок (не менее 2-х недель) для выполнения обязанностей. В случае прекращения договора на этой основе, первая Сторона может иметь право требовать возмещение ущерба.
13.1.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმება.	13.1.2. Письменное соглашение сторон.
13.1.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.	13.1.4. Иные случаи, предусмотренные законом.
13.2 თუკი დამზღვევი ცალმხრივად მოშლის წინამდებარე ხელშეკრულებას პატივსაცემი მიზეზების არსებობის გარეშე და მოშლის მომენტისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის პროგრამა მზღვეველის სტატისტიკის თანახმად აღმოჩნდება ზარალიანი, დამზღვევი ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს მზღვეველს მოშლის მომენტისათვის მიღებულ/მისაღებ (გამომუშავებული) სადაზღვევო პრემიასა და ანაზღაურებულ ზარალს შორის სხვაობა.	13.2 Если Страхователь расторгнет настоящий договор в одностороннем порядке, без наличия каких-либо уважительных на это причин и на момент расторжения программа страхования, предусмотренная настоящим договором, согласно статистике Страховщика окажется убыточной, Страхователь обязан возместить Страховщику в полном объеме разницу между полученной/подлежащей получению (выработанной) страховой премией и возмещенным убытком.
13.3. მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, დამზღვევს არ წარმოეშობა 13.2. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების ვალდებულება.	13.3. В случае невыполнения или ненадлежащего выполнения Страховщиком возложенных обязательств, Страхователь вправе расторгнуть договор в одностороннем порядке. В таком случае, в отношении Страхователя не возникнет обязательство, предусмотренное пунктом 13.2.

14. ანტიკორუფციული დათქმა	14. Антикоррупционная оговорка
14.1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მხარეები და მათი თანამშრომლები არ გადაიხდიან, არ შესთავაზებენ გადახდას ან არ აძლევენ უფლებას ნებისმიერ პირს გადაუხადონ რაიმე ფული ან ღირებული ნივთი, პირდაპირ ან ირიბად, ამ პირების ქმედებებზე ან გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით, რაიმე არასათანადო უპირატესობის ან სხვა არასათანადო მიზნების მისაღებად.	14.1. При исполнении своих обязательств по настоящему Договору, Стороны и их работники не выплачивают, не предлагают выплатить и не разрешают выплату каких-либо денежных средств или ценностей, прямо или косвенно, любым лицам, для оказания влияния на действия или решения этих лиц с целью получить какие-либо неправомерные преимущества или иные неправомерные цели.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მხარეები და მათი თანამშრომლები არ განახორციელებენ ქმედებებს, რომლებიც ამ შეთანხმების მიზნებისთვის მოქმედი კანონმდებლობით კლასიფიცირდება, როგორც	14.2. При исполнении своих обязательств по настоящему Договору, Стороны и их работники не осуществляют действия, квалифицируемые применимым для целей настоящего Договора законодательством, как дача/получение взятки, коммерческий подкуп, а также действия, нарушающие требования применимого законодательства и международных актов о

ქრთამის მიცემა/მიღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებები, რომლებიც არღვევს დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს.	противодействию легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე თავს შეიკავებს მეორე მხარის თანამშრომლების ნებისმიერი გზით სტიმულირებისგან, მათ შორის ფულადი თანხების მიწოდებით, საჩუქრებით, მათთვის სამუშაოს (მომსახურების) უსასყიდლოდ შესრულებით და სხვა მეთოდებით, რომლებიც თანამშრომელს გარკვეულ დამოკიდებულებაში აყენებს და მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ეს თანამშრომელი განახორციელებს ნებისმიერ ქმედებას მისი სტიმულირების მხარის სასარგებლოდ.	14.3. Каждая из Сторон настоящего Договора отказывается от стимулирования каким-либо образом работников другой Стороны, в том числе путем предоставления денежных сумм, подарков, безвозмездного выполнения в их адрес работ (услуг) и другими способами, ставящего работника в определенную зависимость, и направленными на обеспечение выполнения этим работником каких-либо действий в пользу стимулирующей его Стороны.
14.4. თუ ერთ-ერთი მხარე ეჭვობს, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს ანტიკორუფციული პირობების დარღვევა, შესაბამისი მხარე იღებს ვალდებულებას, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.	14.4. В случае возникновения у Стороны подозрений, что произошло или может произойти нарушение каких-либо антикоррупционных условий, соответствующая Сторона обязуется уведомить другую Сторону в письменной форме.
14.5. წერილობით შეტყობინებაში, მხარე ვალდებულია მიუთითოს ფაქტებზე ან მიაწოდოს მასალები, რომლებიც საიმედოდ ადასტურებენ ან იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს ამ პირობების ნებისმიერი დებულების დარღვევა მეორე მხარის ან მისი თანამშრომლების მიერ, რაც გამოიხატება ქმედებებში, რომლებიც კვალიფიცირდება მოქმედი კანონმდებლობით, როგორც ქრთამის მიცემა ან მიღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებებში, რომლებიც არღვევს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.	14.5. В письменном уведомлении Сторона обязана сослаться на факты или предоставить материалы, достоверно подтверждающие или дающие основание предполагать, что произошло или может произойти нарушение каких-либо положений настоящих условий контрагентом, его работниками, выражающееся в действиях, квалифицируемых применимым законодательством, как дача или получение взятки, коммерческий подкуп, а также действиях, нарушающих требования применимого законодательства и международных актов о противодействии легализации доходов, полученных преступным путем.
14.6. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები აღიარებენ კორუფციის პრევენციის პროცედურების განხორციელებას და აკონტროლებენ მათ დაცვას. ამავდროულად, მხარეები გონივრულ ძალისხმევას ახორციელებენ კორუფციულ საქმიანობაში ჩართულ მხარეებთან საქმიანი ურთიერთობების რისკის მინიმიზაციისთვის და ასევე ურთიერთდახმარებას უწყვენ ერთმანეთს კორუფციის პრევენციის მიზნით.	14.6. Стороны настоящего Договора признают проведение процедур по предотвращению коррупции и контролируют их соблюдение. При этом Стороны прилагают разумные усилия, чтобы минимизировать риск деловых отношений с контрагентами, которые могут быть вовлечены в коррупционную деятельность, а также оказывают взаимное содействие друг другу в целях предотвращения коррупции.
14.7. მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ შესაბამისობის შემოწმების პროცედურების განხორციელება, რათა თავიდან აიცილონ მხარეების კორუფციულ საქმიანობაში მონაწილეობის რისკები.	14.7. Стороны обязуются обеспечить реализацию процедур по проведению комплаенс проверок в целях предотвращения рисков вовлечения Сторон в коррупционную деятельность.
14.8. მზღვეველი იძლევა გარანტიას შემდეგი დათქმების შესრულებაზე, რომ:	14.8. Страховщик соблюдает гарантии нижеследующих оговорок о том, что:
14.8.1. (არის/არ არის) სახელმწიფოსთან დაკავშირებული სუბიექტი და (ჰყავს/არ ჰყავს) პოლიტიკურად აქტიური პირები, რომლებიც არიან	14.8.1. (является/не является) лицом, связанным с государством, и (имеет/не имеет) Политически значимых лиц, являющихся его должностными лицами,

მისი თანამდებობის პირები, თანამშრომლები ან პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები. მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დამზღვევს ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, როდესაც ნებისმიერი პოლიტიკურად აქტიური პირი ხდება მზღვეველის თანამდებობის პირი ან თანამშრომელი ან იძენს მიმწოდებლის პირდაპირ ან არაპირდაპირ წილს;	работниками либо прямыми или косвенными владельцами. Страховщик обязуется незамедлительно информировать Страхователя в письменной форме обо всех случаях, когда какое-либо Политически значимое лицо станет должностным лицом или работником Страховщика либо приобретет прямую или косвенную долю участия Страховщика;
14.8.2. შექმნილია ლეგიტიმური ბიზნეს საქმიანობის განხორციელების მიზნით და არა რაიმე უკანონო მიზნებისთვის და აქვს მხოლოდ დაფინანსების კანონიერი წყაროები;	14.8.2. создан в целях осуществления легитимной хозяйственной деятельности, а не в каких-либо незаконных целях и имеет только законные источники финансирования;
14.8.3. მზღვეველი და მისი შვილობილი კომპანიები არ არიან გასამართლებულნი ან დამნაშავედ ცნობილნი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებული რაიმე უკანონო ქმედებისთვის. მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დამზღვევს, თუ მზღვეველი ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანია გასამართლებულია ან დამნაშავედ ცნობილნი არიან ასეთი უკანონო ქმედების ჩადენაში.	14.8.3. Страховщик и его Аффилированные лица не были осуждены за совершение или признаны виновными в совершении каких-либо противозаконных действий, связанных с мошенничеством или коррупцией. Страховщик обязуется немедленно информировать Страхователя в письменной форме, если Страховщик или какие-либо его Аффилированные лица будут осуждены за совершение или признаны виновными в совершении таких противоправных действий.
14.8.4. მზღვეველი ადასტურებს, რომ მან წაიკითხა დამზღვევის ბიზნეს ეთიკის კოდექსი და კომპანიის ანტიკორუფციული პოლიტიკა კომპანიის ოფიციალურ ვებსაიტზე. მზღვეველი ადასტურებს, რომ სრულად ესმის დამზღვევის ბიზნეს ეთიკის კოდექსი და დამზღვევის ანტიკორუფციული პოლიტიკა.	14.8.4. Страховщик подтверждает, что он ознакомился с Кодексом деловой этики Страхователя и Политикой по противодействию коррупции Компании на официальном веб-сайте Компании. Страховщик удостоверяет, что он полностью понимает Кодекс деловой этики Страхователя и Политику по противодействию коррупции Страхователя.
14.8.5. მზღვეველი იღებს ვალდებულებას, კეთილსინდისიერად გაუწიოს დამზღვევს დახმარება და მხარდაჭერა ამ ანტიკორუფციული დათქმების მოთხოვნების ფაქტობრივი ან პოტენციური დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, ვალდებულია უზრუნველყოს მისი მფლობელების, დირექტორების, თანამდებობის პირების და სხვა შვილობილი კომპანიების გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობა.	14.8.5. Страховщик обязуется добросовестно оказывать Страхователю помощь и содействие в случае действительного или возможного нарушения требований настоящей Антикоррупционной оговорки, в том числе обязуется обеспечивать возможность проведения опроса своих владельцев, директоров, должностных лиц и прочих Аффилированных лиц.
14.8.6. მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ აცნობოს დამზღვევს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ანტიკორუფციული პუნქტის მოთხოვნების დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ. მოთხოვნების დარღვევის შემთხვევების შესატყობინებლად, მზღვეველი ვალდებულია გამოიყენოს „ცხელი ხაზი“, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დამზღვევის ოფიციალურ ვებსაიტზე.	14.8.6. Страховщик обязуется своевременно сообщать Страхователю обо всех случаях нарушения требований антикоррупционной оговорки, связанной с деятельностью Страхователя. Для сообщения о случаях нарушения требований Страховщик обязан использовать «Горячую линию», информация о которой размещена на официальном веб-сайте Страхователя.
15. სანქციების დათქმა	15.Санкционная оговорка
15.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ მზღვეველის გარანტიების საფუძველზე და მათზე კეთილსინდისიერად დაყრდნობით. მზღვეველი იძლევა გარანტიას, რომ:	15.1. Стороны заключают настоящий Договор на основании гарантий Страховщика и добросовестно полагаясь на таковые. Страховщик гарантирует, что:
ა) არც მზღვეველი, არც მისი აფილირებული პირები და არც მზღვეველის ყველა აქციონერი არ შედის ევროკავშირის სანქციების სიაში და (ან)	а) ни Страховщик, ни его аффилированные лица, ни все акционеры Страховщика не включены в санкционный список Европейского союза, и (или) Великобритании, и (или) в санкционных списках SDN (Specially Designated

გაერთიანებული სამეფოს და (ან) SDN-ის სანქციების სიაში (Specially Designated Nationals and Blocked Persons List - სპეციალურად გამოყოფილი მოქალაქეების და დაბლოკილი პირების სია), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions - უცხოური საფინანსო ინსტიტუტების სია, რომელთათვის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ან წარმოება გამჭოლი გადახდით აკრძალულია ან ექვემდებარება ერთ ან რამდენიმე მკაცრ პირობას), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List - სანქციების სია, რომელიც არ არის დაფუძნებული SDN-ზე), რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველო Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury), ასევე ნებისმიერი სხვა სანქციების სია, რომელსაც გააჩნია ექსტერიტორიალური მოქმედება.	Nationals and Blocked Persons List – список специально выделенных граждан и блокированных лиц), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions – список иностранных финансовых институтов, для которых открытие или ведение корреспондентского счета или счета со сквозной оплатой запрещено или подчиняется одному или нескольким строгим условиям), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List – список санкций, не основанный на SDN), администрируемый Управлением по контролю над иностранными активами Министерства финансов США (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury), а также любой иной санкционный список, имеющий экстерриториальное действие.
ბ) მზღვეველი მიერ ხელშეკრულების დადება ან/და მისი შესრულება არ იწვევს ამ პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული სანქციების დარღვევას.	ბ) заключение Договора и/или его исполнение Страховщиком не влечет нарушения санкций, указанных в подпункте (а) настоящего пункта.
გ) იმ დღეს, როდესაც ზღვეველი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულება და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მისი ფაქტიური შესრულების თარიღამდე - მზღვეველის ანგარიშები, მათ შორის საკუთარი და საკორესპონდენტო ანგარიშები, რომლებიც გამოიყენება ამ ხელშეკრულების თანახმად გადახდების განსახორციელებლად, განთავსებულია ბანკებში ან საფინანსო დაწესებულებებში, რომლებიც არ შედიან იმ პირთა, ჯგუფებისა და ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ჩამონათვალში, რომლებიც ევროკავშირის ფინანსური სანქციების ობიექტებს წარმოადგენენ და რომელთა მიმართაც მოქმედებს აქტივების გაყინვის რეჟიმი Consolidated List of persons, groups and entities subject, under EU Sanctions, to an asset freeze and the prohibition to make funds and economic resources available to them), და (ან) გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების განხორციელების სამმართველოს ფინანსური სანქციების ობიექტების კრებში ჩამონათვალში (Consolidated List of financial sanctions targets of the Office of Financial Sanctions Implementations in the UK), და (ან) SDN-ის სიებში (Specially Designated Nationals and Blocked Persons List - სპეციალურად გამოყოფილი მოქალაქეების და დაბლოკილი პირების სია) და CAPTA-ს სიაში (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions - უცხოური საფინანსო ინსტიტუტების სია, რომელთათვის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ან წარმოება გამჭოლი გადახდით აკრძალულია ან ექვემდებარება ერთ ან რამდენიმე მკაცრ პირობას),	ვ) в день, когда Страховщик обязан исполнить соответствующее обязательство по Договору и до даты его фактического исполнения в соответствии с настоящим Договором – счета Страховщика, в том числе собственные и корреспондентские, используемые для совершения платежей по данному Договору, находятся в банках или финансовых учреждениях, которые не включены в Сводный перечень лиц, групп и организаций, являющихся объектами финансовых санкций ЕС, в отношении которых действует режим заморозки активов (Consolidated List of persons, groups and entities subject, under EU Sanctions, to an asset freeze and the prohibition to make funds and economic resources available to them), и (или) Сводный список объектов финансовых санкций Управления по осуществлению финансовых санкций в Великобритании (Consolidated List of financial sanctions targets of the Office of Financial Sanctions Implementations in the UK), и (или) в списках SDN (Specially Designated Nationals and Blocked Persons List – список специально выделенных граждан и блокированных лиц), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions – список иностранных финансовых институтов, для которых открытие или ведение корреспондентского счета или счета со сквозной оплатой запрещено или подчиняется одному или нескольким строгим условиям), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List – список санкций, не основанный на SDN), администрируемый Управлением по контролю над иностранными активами Министерства финансов США (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury).

NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List - სანქციების სია, რომელიც არ არის დაფუძნებული SDN-ზე), რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველო (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury).	
